ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 48-87

"8" ნოემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 23/12/2014, 300320000.35.101.016062) და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარის 7^1 მუხლი:

„მუხლი 7^1. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრების მართვა (მომზადება/დადგენა/კორექტირება)

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ^2" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აქტების გამოცემა:

ა) განცხადების მიღებიდან 20 დღის ვადაში – უფასო;

ბ) განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში – 200 ლარი;

გ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში – 300 ლარი;

დ) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში – 400 ლარი.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**